თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N5

ქ. თელავი 2018 წლის 21 მაისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, გურამი წულუკიძე, ლევანი ლილუაშვილი, ლელა მენთეშაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: ფრაქცია ქართული ოცნება-მრეწველების თავ-რე ტიტე დარეჯანიშვილი, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის: იურიდიული სამსახურის უფროსი ლევანი ბერძენაშვილი, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავბერიძე

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თელავში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე 76 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს.ა.შათირიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (საავადმყოფო საწოლები) შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს.ა.შათირიშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე უარის თქმის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს.ა.შათირიშვილი

4. ქალაქ თელავში სამხრეთით მდებარე 4955 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს.ა.შათირიშვილი

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე უარის თქმის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს.ა.შათირიშვილი

6. ქალაქ თელავში სამხრეთით მდებარე 100 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს.ა.შათირიშვილი

მოისმინეს: ქ. თელავში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე 76 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ლევან ბერძენაშვილი, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განხორციელებულია ორი საჯარიმო სანქცია, პირველი - გასხვისება მერიასთან შეთანხმების გარეშე დაკავშირებით, მეორე - სამშენებლო ნებართვასთან დაკავშირებით, დღეისათვის ყველა საუქციონო პირობათა საკითხი ვადებშია მოქცეული.

ალექსანდრე შათირიშვილმა გამოთქვა აზრი, რომ პროექტი წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

გადაწყვიტეს: პროექტი ქ. თელავში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე 76 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას

ნაკისრი საუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (საავადმყოფო საწოლები) შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე შათირიშვილმა გამოთქვა აზრი, რომ პროექტი წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (საავადმყოფო საწოლები) შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე უარის თქმის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ლევან ბერძენაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული ქონებით ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობდა პროფესიული კოლეჯი „პრესტიჟი“ რომელშიც დღესაც არის განთავსებული. მერიას მიზანშეწონილად არ მიაჩნია უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემა. მანვე აღნიშნა, რომ მერია არ არის წინააღმდეგი რომ მოხდეს უძრავი ქონების უსასყიდლოდ, გრძელვადიან სარგებლობაში გადაცემა სსიპ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის, შემდგომში მის მიერ დაფუძნებული ა(აიპ) პროფესიული კოლეჯი „პრესტიჟის“ განსათავსებლად. ქონების გადაცემის საკითხისთვის საჭიროა საკრებულოს თანხმობა და უნდა განხილული იქნას საკრებულოზე.

გადაწყვიტეს: დადგენილების პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე უარის თქმის შესახებ წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: ქალაქ თელავში სამხრეთით მდებარე 4955 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ლევან ბერძენაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული ქონების გადაცემის შედეგად შესაძლებელი იქნება წყალმომარაგების პროექტის განხორციელება, რაც დადებითად გადაწყვეტს მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის პრობლემას.

ალექსანდრე შათირიშვილმა გამოთქვა აზრი, რომ საკითხი წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

გადაწყვიტეს: დადგენილების პროექტი ქალაქ თელავში სამხრეთით მდებარე 4955 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე უარის თქმის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ლევან ბერძენაშვილმა განმარტა, რომ მოთხოვნის მოტივაცია არასწორია, რამდენადაც ქონება რეგისტრირებული არის მუნიციპალურ საკუთრებად, ამასთან ერთად აქ არის განთავსებული სკვერი და ტროტუარი, რომლის გასხვისება კანონმდებლობით არ შეიძლება.

ალექსანდრე შათირიშვილმა გამოთქვა აზრი, რომ საკითხი წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ

გადაცემის თაობაზე უარის თქმის შესახებ წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: ქალაქ თელავში სამხრეთით მდებარე 100 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა, რომ ქონების გადაცემა ასევე მიბმულია ქალაქის წყლით უზრუნველყოფასთან და დააყენა წინადადება პროექტის საკრებულოზე განხილვის თაობაზე.

გადაწყვიტეს: პროექტი ქალაქ თელავში სამხრეთით მდებარე 100 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი